საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-17/ნ
2016 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის №01-57/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის №01-57/ნ ბრძანებით (ვებგვერდი, 19/11/2015, 470230000.22.035.016366) დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლით განსაზღვრული შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„<u>შენიშვნა:</u> 2016 წლის 3 მაისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 18 თვის და 5 წლის ასაკის ბავშვების რევაქცინაცია ჩატარდეს პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ორვალენტიანი ორალური (1, 3 ტიპის ვირუსის ატენუირებული ცოცხალი შტამები) ვაქცინით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**